დასკვნა:**დ05.37221092**
თარიღი:**19/04/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის, ინფრასტრუქტურის, სივრცით მოწყობის და ტრანსპორტის სამსახურის, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის, შიდა აუდიტის სამსახურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის, ეკონომიკური განვითარებისა სამსახურის დებულებების შესახებ“- პროექტებზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დასამტკიცებლად წარმოდგენილი დადგენილების პროექტები, კერძოდ:

- „განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“
- „ინფრასტრუქტურის, სივრცით მოწყობის და ტრანსპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“
- „საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“
- „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“
- „შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“
- „ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“
- „ეკონომიკური განვითარებისა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ -

და დაადგინა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხით (სტრუქტურით) გათვალისწინებული ზემოთ აღნიშნული სამსახურების პროექტებში მოქმედი

კანონმდებლობისა და დადგენილი წესის შესაბამისად განსაზღვრულია სამსახურების ამოცანები და ფუნქციები, მათ შორის სამსახურების სტრუქტურაში შემავალი ცალკეული განყოფილებების ფუნქციები.

2. ზემოთ აღნიშნული სამსახურების დებულებებში სისტემურად არის ასახული სამსახურის მართვისა და მოხელეების უფლება-მოვალეობების, აგრეთვე მათი ვალდებულებების ძირითადი პრინციპები.

3. საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი მერიის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული სამსახურების დებულებების კომისიებში განხილვის დროს, აგრეთვე მათზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისა და დასრულების შემდეგ შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მერიის საშტატო ნუსხით განსაზღვრული სამსახურების დებულებები რეკომენდირებულ იქნას საკრებულოს სხდომაზე მათი განხილვა-დამტკიცების მიზნ

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი